ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ჯგუფების გენდერული საჭიროებების კვლევა ადგილობრივ ბიუჯეტში ინტეგრირებისათვის

კვლევა ჩატარდა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით პროექტის „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში

გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდის UN WOMEN ფინანსური მხარდაჭერით

მაისი, 2016 წელი

1. <u>რეზიუმე</u>

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (როგორც ქალაქში, ასევე სოფელში) გენდერულ ჯგუფებში ჩატარებულმა საჭიროებათა კვლევამ, ექსპერტთა მოსაზრებების ანალიზმა გამოავლინა საკითხები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების სოციალური საჭიროებების განსაზღვრისა და მათი გადაწყვეტის სამომავლო პერსპექტივებისათვის.

გამოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა მეტ-ნაკლებად არის ინფორმირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროგრამების შესახებ, დანარჩენი იცნობს მხოლოდ იმ პროგრამებს, რაც უშუალოდ მას უკავშირდება. რესპონდენტების აზრით, თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით, ხშირად თავად საზოგადოება არ არის აქტიური, თუმცა იყო შემთხვევები, როცა საზოგადოების მოთხოვნა ყურად იღო ადგილობრივმა თვითმმართველობამ, მაგ. ტყვიის გადამამუშავებელ საწარმოსთან დაკავშირებით.

რესპონდენტთა უმრავლესობა ადგილობრივ გენდერულ პრიორიტეტად ახალგაზრდობას და მის განვითარებას მიიჩნევს. ისინი თვლიან, რომ უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რათა ახალგაზრდობა დაუბრუნდეს სოფელს, ერთ-ერთ პრიორიტეტად კი პროფესიული სასწავლებლის შექმნა დასახელდა, რომელსაც შემდეგ უნდა მოჰყვეს დასაქმების პროგრამები.

დასახელდა ადგილობრივი პროგრამები, რომელთაც, მოსახლეობის აზრით, აქვთ გამოკვეთილი ეფექტი: მაგალითად - ინფრასტრუქტურული პროექტები. დაიგო გზები, აშენდა ან გარემონტდა ბევრი შენობა, წვიმების შემდეგ ტერიტორია აღარ იტბორება.

გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ სახელმწიფო ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის პრიორიტეტებს. საკუთარი ოჯახის მაგალითზე ბევრი რესპონდენტი ამბობს, რომ სახელმწიფო ეხმარება და ითვალისწინებს მათ საჭიროებებს. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს სტუდენტთა წახალისების პროგრამა.

ზოგადად, მოქალაქეები პოზიტიურად აფასებენ სოფლის მხარდაჭერის კუთხით დაწყებულ ღონისძიებებს. თვლიან, რომ სოფელი გამოცოცხლდა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. ბევრი თვლის, რომ აუცილებელია ფერმერთა მოტივაციის გაზრდა და ამ მიმართულების უფრო მეტად პოპულარიზაცია, ქალთა ტრადიციული ფერმერული მეურნეობის სფეროების აღორძინება.

გამოიკვეთა რესპონდენტების შეშფოთება შიდა და გარე მიგრაციის მასშტაბების გამო. ქალების, ახალგაზრდების გადინების მასშტაბები, განსაკუთრებით სოფლიდან.

გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ ბიუჯეტში უფრო მეტად უნდა იყოს გათვალისწინებული მრავალშვილიანი დედების, დევნილების, შშმ პირების, სოციალურად დაუცველების საჭიროებები. გამოიკვეთა ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად ჩართული სოციალური ჯგუფი დევნილების სახით. გამოჩნდა მათი ინტეგრირების ღონისძიებების ხელშეწყობის აუცილებლობა.
რესპონდენტები თვლიან, რომ აუცილებელია გრძელვადიანი სესხების გაცემა, რათა ხალხმა შეძლოს ბიზნესის წარმოება. აუცილებლად უნდა ამუშავდეს ახალი საწარმო-ქარხნები. რესპონდენტთა დიდი ნაწილი პოზიტიურ შეფასებას აძლევს პროექტს ,,აწარმოე საქართველოში“, როგორც ბიზნესის წახალისების საშუალებას. მოქალაქეების აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ცენტრების, მაცივრების გახსნა, სადაც მოსახლეობა სოფლის პროდუქტებს ჩააბარებს. ბევრი თვლის, რომ ადგილობრივ ბაზაზე ხალხმა უნდა დაიწყოს სოფლის პროდუქტების წარმოება და იმპორტი, ამას კი სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს. ექსპერტებმა დაასაბუთეს მონიტორინგის აუცილებლობა, რათა გაირკვეს, თუ რა მდგომარეობაა ფიტოსანიტარული კუთხით. რა მდგომარეობაშია ნიადაგი, რომელი დაავადებების, მავნებლების გავრცელებაა საშიში. ასევე - ფერმერებისთვის საგანმამანთლებლო/საკონსულტაციო პროგრამების აუცილებლობა.
რესპონდენტებმა ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა გენდერული კუთხით მუნიციპალიტეტის დონეზე დადებითად შეაფასეს. ხაზგასმული იყო ქალების მიმართ დამოკიდებულების შეცვლა: ბევრი თვლის, რომ ქალების აზრი და ზოგადად, ქალის როლი ამ ბოლო პერიოდში წინ წამოიწია და დასაფასებელი გახდა. გენდერული ბალანსი და ზოგადად ქალის პატივისცემა დამკვიდრდა, თუმცა ასევე დასახელდა მათი მეტი დაცვის აუცილებლობა. გაჟღერდა მოსაზრებები, რომ პრიორიტეტული უნდა გახდეს ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ბაგა-ბაღებში, სკოლებში განხორციელდეს პერიოდული შემოწმება ბავშვთა ჯანმრთელობის გამოკვლევის მიზნით.

2. <u>ძირითადი ნაწილი</u>

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „ადგილობრივი სოციალური ჯგუფების გენდერულ საჭიროებათა კვლევა ადგილობრივ ბიუჯეტში ინტეგრირებისათვის“ ჩატარდა ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით და მასში, ძირითადად, ჩართულნი იყვნენ ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის მოპოვებით, გამოკითხვის, ფოკუს-ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით.

მთლიანობაში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 240-მა რესპონდენტმა (გამოკითხვა - 200 რესპონდენტი, ფოკუს-ჯგუფები - 36 რესპონდენტი, ჩაღრმავებული ინტერვიუ - 4 რესპონდენტი.)

2.1. <u>რაოდენობრივი კვლევა</u>

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 200 რესპონდენტი. მათ შორის 82% ქალი, 18% კაცი. პირისპირ გამოკითხვის მეთოდით გამოიკითხა შემდეგი სოციალური ჯგუფები: ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველები, მცირე ბიზნესში ჩართული ქალები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები. გამოკითხვა ჩატარდა სოფლებში - დიდი ლაითური, დიდი ნარუჯა, დვაბზუ, ცხემლისხიდი, ოზურგეთი, გურიანთა, ნაგომარი.

გამოკითხულთა ასაკი იყო 16-დან 30 წლამდე - 44%, 30-დან 50-მდე - 32%, 50-ს ზევით - 24%.

მათი 16% ცხოვრობს ქალაქში, 84% - სოფელში. გამოკითხულ ქალაქში მცხოვრებთა 100%-ს წამოადგენდნენ ახალგაზრდები. (კვლევის მონაწილე ახალგაზრდების 64%).

გამოკითხულთა 42% არის არასრული საშუალო განათლებით, 29% - საშუალო-პროფესიული, 14% - დაუმთავრებელი უმაღლესი, 15% - უმაღლესი განათლებით. ყველაზე მეტი უმაღლესი განათლებით გამოკითხული იყო მცირე ბიზნესის ჯგუფში (32%).

კითხვას, გაქვთ თუ არა სტაბილური შემოსავალი - დადებითად უპასუხა გამოკითხულთა 35%-მა. უარყოფითად - 65% -მა. გამოკითხულების **ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი** 200 ლარამდე ჰქონდა 24%-ს, 600 ლარამდე - 59%-ს, 600 ლარს ზევით -17%-ს. მათ შორის 200 ლარამდე შემოსავალი აღნიშნა სოციალურად დაუცველების 62%-მა. მცირე ბიზნესის ჯგუფის 84%-ს ჰქონდა შემოსავალი 600 ლარამდე. 600 ლარს ზევით მიუთითა ახალგაზრდების 48%-მა.

კითხვაზე, გაქვთ თუ არა სათანადო ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ?

პასუხი - „მაქვს სრული ინფორმაცია“ ჰქონდა გამოკითხულთა 48%-ს. ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული აღმოჩნდნენ ახალგაზრდები - 4%; სოციალურად დაუცველების 32% ფლობს საბიუჯეტო პროგრამების შესახებ ინფორმაციას. პასუხი „მაქვს მწირი ინფორმაცია“ აირჩია 35%-მა (მათ შორის - ახალგაზრდების 48%). პასუხი „ინფორმაცია არ მაქვს“ ჰქონდა გამოკითხულთა 41%-ს.

გამოკითხულებმა შეაფასეს ადგილობრივი ხელისუფლების საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხი. მას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს რესპონდენტთა 32%. ყველაზე ხშირად ეთნიკური უმცირესობა (58%) და მცირე ბიზნესი (46%). ყველაზე ნაკლებად - ახალგაზრდები (მათი 8%).

პასუხი „არადამაკმაყოფილებელი“ აირჩია გამოკითხულთა 36%-მა. უფრო მეტად ახალგაზრდებმა (52%). „მიჭირს პასუხის გაცემა“ გამოკითხულთა 29%-მა აირჩია. (ახალგაზრდების 40%, სოციალურად დაუცველების 36%, მცირე ბიზნესის 20%. ეთნიკური უმცირესობების 18%).

პირისპირ ინტერვიუს რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, შეეფასებინათ ადგილობრივი სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები. ეს პროგრამები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა გამოკითხულთა 52%-ისთვის; ყველაზე ხშირად მცირე ბიზნესის (70%) და ეთნიკური უმცირესობის (74%) ჯგუფში. საკითხი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია გამოკითხულთა 23%-მა. უფრო ხშირად ასე მიაჩნიათ ახალგაზრდებს (32%) და სოციალურად დაუცველებს (ასევე - 32%); პასუხის გაცემა გაუჭირდა გამოკითხულთა 26%-ს. (ახალგაზრდები - 36%, სოციალურად დაუცველები - 36%).

გამოკითხულებმა პასუხი გასცეს კითხვას, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას ქალებისა და კაცების (ასევე საზოგადოების სხვა სპეციფიკური ჯგუფების) პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინება.

საკითხი ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნია გამოკითხულთა 65%-მა; მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად თვლის - 21%; მოცემული საკითხი არ არის მნიშვნელოვანი რესპონდენტების 1%-თვის; უჭირს პასუხის გაცემა მათ 13%-ს. ყველაზე ხშირად საკითხისადმი დამოკიდებულების არქონა დაფიქსირდა სოციალურად დაუცველების ჯგუფში (36%).

რესპონდენტებს შესთავაზეს, დაესახელებინათ, შემდეგი სფეროებიდან, დაფინანსების კუთხით რომელი უნდა იყოს პრიორიტეტული ადგილობრივ დონეზე. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩამონათვალიდან აერჩიათ 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხი.

„ჯანდაცვა“ აირჩია გამოკითხულთა 27%-მა. სოციალური დაცვა - 19%; განათლება; 19%; ეკონომიკური განვითარება - 7%; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 13%; - ინფრასტრუქტურა - 14%. სხვა - 1%. ყველაზე ხშირად განათლება დასახელებული იყო ახალგაზრდების და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა ჯგუფში. ინფრასტრუქტურული პროგრამების საჭიროება დასახელდა ყველაზე ხშირად მცირე ბიზნესის და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის.

რესპონდენტებს სთხოვეს აერჩიათ, ვისი საჭიროებების გათვალისწინება მიაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად ადგილობრივ ბიუჯეტში. შესაძლებელი იყო 3 მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორიის არჩევა.

„ახალგაზრდა ოჯახები“ აირჩია გამოკითხულთა 8%-მა; დევნილები - 4%; ორსული ქალები - 6%; მზრუნველობამოკლებული ბავშვები - 7%, სოციალურად დაუცველი ოჯახები - 20%; ეთნიკური უმცირესობები - 7%; ხანდაზმულები - 9%. შშმ პირები - 9%, მარტოხელა მშობლები - 4%; მცირე მეწარმეები - 7%; სტუდენტები - 4%; ოჯახში ძალადობის მსხვერპლები - 7%; მრავალშვილიანი ოჯახები - 10%.

ყველაზე სასიცოცხლო საჭიროებებში, რომელიც სჭირდებათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის, რესპონდენტებმა დაასახელეს 3 ყველაზე მნიშვნელოვანი.

საბინაო პირობების გაუმჯობესება - 9%; დასაქმება - 23%; კვალიფიციური განათლების ხელმისაწვდომობა - 19%; ადგილობრივი სოციალური დახმარების პროგრამებში ინტეგრირება - 12%;

შრომის პირობების დაცვა - 14%; ოჯახის წევრების მხარდაჭერა - 8%; ხელმისაწვდომი კრედიტები -15%.

საბინაო პირობების გაუმჯობესება ყველაზე ხშირად აღნიშნული იყო ეთნიკური უმცირესობების პასუხებში - 5%; დასაქმების საჭიროება ყველაზე მეტად დაასახელეს სოციალურად დაუცველებმა - (33%) და ახალგაზრდებმა (28%). ხელმისაწვდომი კრედიტების საჭიროება სხვაზე მეტად აქვთ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს - 31%.

მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ არაანაზღაურებად სექტორში (რეპროდუქტიული შრომა - ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმიანობა) გაწეული საქმიანობის წახალისება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან?

მიღებული იყო პასუხები: დიახ - 62%; არა - 22%; მიჭირს პასუხის გაცემა - 16%. ყველაზე ნაკლებად ამ საკითხის საჭიროება დაინახეს ახალგაზრდებმა (40%). ყველაზე მეტად მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა (92%). პასუხის გაცემა ყველაზე მეტად გაუჭირდათ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს (20%).

რესპონდენტებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საკითხისადმი, რა უფრო შეუწყობს ხელს უმუშევრობის შემცირებას ქალებში.

მათი შეხედულებით, პირველადია სამუშაო ადგილების შექმნა (32%), შემდეგ - ადგილობრივი ტურიზმის განვითარება - 23%; დასაქმებისა და უმუშევრების დახმარების საინფორმაციო ცენტრები (20%); უფრო გამართული სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა (საბავშვო ბაღების სერვისის გაუმჯობესება) დაინახა მხოლოდ 10%-მა. გამოკითხულთა შორის ამ საკითხს უფრო პრაგმატულად უყურებენ სოციალურად დაუცველები. ამ საჭიროებას ხედავს მათი 23%.

მცირე ბიზნესის განვითარების კონკრეტული მუნიციპალური პროგრამების შექმნა გამოსავალია 15%-ის აზრით.

რესპონდენტები ასახელებენ ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ადგილობრივ დონეზე.

ეროვნული გამოცდების შედეგად წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა - მუნიციპალური ვაუჩერი, სტიპენდია - 21%; ეს საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგა ახალგაზრდებისათვის (პასუხი აირჩია მათმა 72%-მა).

დაუცველი ოჯახების სტუდენტების დაფინანსება დაასახელა მთლიანი გამოკითხულების 15%-მა; ამ საკითხსაც სხვებზე უფრო პოზიტიურად უყურებენ ახალგაზრდები - (პასუხი აირჩია ჯგუფის 58%-მა);

დღის ცენტრების გახსნა სოციალურად დაუცველი ოჯახების ახალგაზრდებისათვის - 8%; (პასუხი უფრო ხშირად ფიგურირებდა სოციალურად დაუცველთა ჯგუფში - 30%).

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება 15%; პროგრამა ყველაზე მეტად სჭირდება ახალგაზრდების ჯგუფის 52%-ს.

პასუხი - ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა - 20%; ეს პასუხი აირჩია სოციალურად დაუცველების 72%-მა.

კვალიფიციური სტაჟირების პროგრამების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია გამოკითხულთა 18%-თვის; საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგა ახალგაზრდებისათვის (60%). კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები - 72%. პასუხი „სხვა“ - 4%-ის პასუხებში დაფიქსირდა.

რესპონდენტები ადგილობრივი მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების (დევნილები, შშმ პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი დედები, ახალგაზრდა ოჯახები და ა. შ.) სოციალური და სხვა საჭიროებების გაჟღერებისას წამყვან აქტორად ჩამოთვლილთაგან შემდეგ მხარეებს მიიჩნევენ:

გამგეობა/მერია - 37%, საკრებულო - 34%; არასამთავრობო სექტორი - 11%; მოქალაქეთა აქტიური ჯგუფები 13%; მედია - 5%. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა აქტიური ჯგუფების წამყვან როლს აღიარებენ ახალგაზრდები (46%). მათ როლს ყველაზე ნაკლებად ხედავს მცირე ბიზნესის (3%) და ეთნიკური უმცირესობის ჯგუფი (8%). არასამთავრობო სექტორის როლს ყველაზე მეტად აღიარებს სოციალურად დაუცველთა ჯგუფი - 26%. ყველაზე ნაკლებად - მცირე ბიზნესის ჯგუფი -5%.

პირისპირ ინტერვიუს რესპონდენტებმა განსაზღვრეს, ჩამოთვლილთაგან, რომელი სტრუქტურები მიაჩნიათ ყველაზე ჩართულად ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკის, ძალადობის აღკვეთის ღონისძიებებში. 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხის არჩევის შემდეგ პასუხები ასე განაწილდა:

სოციალური მუშაკები - 24%; ძალოვანი სტრუქტურები (პოლიცია, პროკურატურა) – 21%; სასწავლო დაწესებულებები - 14%; ჯანდაცვის სტრუქტურები - 12%; არასამთავრობო ორგანიზაციები - 8%; ადგილობრივი ხელისუფლება - 6%; სახალხო დამცველი - 13%; მედია - 2%.
სოციალური მუშაკების როლს ყველაზე ნაკლებად ხედავს ახალგაზრდების ჯგუფი - 10%; ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სოციალურად დაუცველები - 33%; ძალოვანი სტრუქტურების როლს განსაკუთრებულად აღიარებენ მცირე ბიზნესისა (23%) და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები (29%); სახალხო დამცველის როლს აღიარებს მცირე ბიზნესის ჯგუფის 23%; გამოკითხული ახალგაზრდების 19%; სოციალურად დაუცველების 12%; ეთნიკური უმცირესობების 1%.

2.2. <u>თვისებრივი კვლევა</u>

თვისებრივი ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი (რესპონდენტთა საერთო რაოდენობა 36) და 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ ადგილობრივ ექსპერტებთან (4 რესპონდენტი). სულ თვისებრივ კვლევაში მონაწილეობდა 40 რესპონდენტი - 31 ქალი, 9 კაცი.
მიღებული ინფორმაციით გამოიკვეთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ჩართულობის ხარისხი თვითმმართველობაში.
კვლევის მონაწილეები განსხვავებულად აფასებენ საზოგადოებასთან ადგილობრივი ხელისუფლების კომუნიკაციის ხარისხს. ნაწილი მიიჩნევს, რომ არ არის უზრუნველყოფილი კომუნიკაცია: *„ინფორმაციულ ვაკუუმში ვართ, რაიმეს თუ მოვკრავთ ყურს,ოფიციალურ ინფორმაციას არ ვფლობთ“.*

კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა მეტ-ნაკლებად არის ინფორმირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროგრამების შესახებ, ინფორმაციას ადგილობრივი მედიით, ტელევიზიითა და თემის ცენტრში გაგონილით ღებულობს. დანარჩენი იცნობს მხოლოდ იმ პროგრამებს, რაც უშუალოდ მას უკავშირდება, თუმცა არ არის ჩართული ბიუჯეტის განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.
თემის აქტიური ნაწილი თვლის, რომ მონდომების შემთხვევაში შესაძლებელია ყველა საჭირო ინფორმაციის დროულად და შეუფერხებლად მოპოვება: *„ვინტერესდები რაიონში მიმდინარე პროცესებით, ვესწრები საკრებულოს სხდომებს და ვცდილობ, მოვიპოვო ყველა ინფორმაცია“. „ვფლობ ინფორმაციებს, რადგან დაინტერესებული ვარ“.*

იყო მოსაზრებები, რომ ხშირად მოსახლეობაში არსებული ნიჰილიზმი განაპირობებს ნაკლებ ინტერესს: *„ვისაც სურვილი აქვს, განხილვას დაესწრება, მაგრამ აქვს კი ამ ხალხს დასწრების და მონაწილეობის სურვილი?!“*

ნაწილი თვლის, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა ბიუჯეტის შედგენასა და ფორმირებაში, მაგრამ ის ნაწილი ინტერესდება მხოლოდ, რომელსაც უშუალოდ აქვს შეხება თვითმმართველობასთან, მიზეზად კი საზოგადოების ინერტულობას ასახელებენ. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

„ბიუჯეტი ცოცხალი ორგანიზმია, რომლის შედგენამდე პრიორიტეტების დადგენაა საჭირო, განხილვაზე დასწრება ყველას შეუძლია, მითუმეტეს, მთელი თვე მიმდინარეობს საჯარო განხილვებიც, მაგრამ მოსახლეობა ინერტულობას იჩენს და არ იღებს მონაწილეობას მის შედგენაში, ხოლო, როცა პრობლემების წინაშე დგებიან, მერე მოთხოვნილება დიდია, ვიტყვი, რომ საჭიროა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება“.

მონაწილეები თვლიან, იმისათვის, რომ უკეთ მოხდეს არსებული რესურსების სამართლიანი განაწილება, საჭიროა მოსახლეობა უფრო აქტიურად ჩაერთოს ბიუჯეტის ფორმირებაში: *„რაც უფრო მეტი აზრი იქნება მოსმენილი ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის დროს, უფრო კარგი იქნება“.*

გამოიკვეთა ყველაზე ნაკლებად ჩართული სოციალური ჯგუფი - დევნილების სახით: *„ჩვენ, დევნილებიც წარმოვადგენთ სოციალურ ჯგუფს და ჩვენც არ ვიღებთ მონაწილეობას, რადგან არ გვაქვს ინფორმაცია, როდის და როგორ მიმდინარეობს ბიუჯეტირების პროცესი. ჩართულობის უკეთ უზრუნველყოფისათვის მოსახლეობის წინასწარ ინფორმირებაა საჭირო, რომ შეძლოს მონაწილეობის მიღება“.*

დევნილები პოზიტიურად აფასებენ თვითმმართველობის ყურადღებას, მაგრამ ითხოვენ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უფრო მეტად ითანამშრომლოს დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან მათი მდგომარეობის გრძელვადიანი გადაწყვეტის კუთხით.

„საცხოვრებელი პირობები ძალიან მძიმე გვაქვს და ყურადღება ამ მიმართულებით მოგვაქციონ. უპირველესად, ეს პრობლემა არის მოსაგვარებელი და შემდგომ განვითარებისთვის - დასაქმების პროგრამები, მცირე ტიპის საწარმოების შექმნა. ასეთი ტიპის საწარმოები უნდა შეიქმნას, რომ მოსახლეობა დასაქმდეს. ეს გრძელვადიანიც იქნება და დასაქმებისთვისაც შესანიშნავი გზაა“.

ოზურგეთის სამოქალაქო ჯგუფები კარგად ხედავენ თვითმმართველობაში მონაწილეობის აუცილებლობას: *„ვფიქრობ, აუცილებელია, რადგან ამ ადამიანთა საჭიროების მიხედვით უნდა მოხდეს ბიუჯეტირება. ამის უზრუნველყოფა სწორედ რომ მათი ინფორმირებულობის მეშვეობით უნდა მოხდეს. მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, როდის და როგორ მიიღონ მონაწილეობა. ასევე მაქსიმალურად უნდა*

ჩაერთოს ყველა სოციალური ჯგუფი და გადაწყვეტილებები ერთობლივად უნდა მიიღებოდეს“.

პოზიტიურად შეფასდა, რომ შექმნილია თვითმმართველობის საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზა, რომლებსაც ეგზავნება მესიჯები სხდომების დანიშვნამდე ორი დღით ადრე სხდომების დღის წესრიგის, თარიღის, დროის და ადგილის მითითებით. *„თუ ამ ბაზაში იქნება გენდერული თანასწორობა დაცული - კარგია. თუმცა მოსახლეობა მაინც არ არის აქტიური და ჩართული თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელია საზოგადოების გააქტიურება. მისი სამოქალაქო განათლების ამაღლება. შესაბამისი ტრენინგების გავლა“.*

უნდა დაიგეგმოს სხვადასხვა ღონისძიება, რათა ხალხის ჩართულობა უფრო მეტად გაიზარდოს. „ძალიან კარგი პროექტია საკრებულოს სხდომების ონლაინ რეჟიმში ყურება, რაც, ვფიქრობ, მეტად ინფორმირებულს გახდის საზოგადოებას“.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხშირად თავად საზოგადოებაც არ არის აქტიური, თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, როცა საზოგადოების მოთხოვნა ყურად იღო ადგილობრივმა თვითმმართველობამ, მაგ. ტყვიის გადამამუშავებელ საწარმოსთან დაკავშირებით.

კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს ადგილობრივი ბიუჯეტის ეფექტური ხარჯები: *„90 ოჯახის (სტიქიის შედეგად დაზარალებულები და უსახლკარო ოჯახები) საცხოვრისით უზრუნველყოფა, გზების დაგება, საბავშვო ბაღების მშენებლობა, გარე განათება“...*

მათი აზრით, ეფექტის დათვლა შეიძლება, თუ შევისწავლით, რამდენი მოქალაქე ისარგებლებს პროგრამით, რამდენად კმაყოფილია. *„ეფექტური ხარჯი უნდა გაძლევდეს უკუგებას, ასე, რომ განათლებაში ჩადებული თითოეული თეთრი მოგების მომტანია“..*

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ადგილობრივ ბიუჯეტში ყველაზე ეფექტური ხარჯი ინფრასტრუქტურული პროექტებია და, შესაბამისად, ეს ხარჯები გამართლებულია. მაგალითისთვის მოიყვანეს ის, რომ წვიმების დროს ქალაქი არ იტბორება.

რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა ჯანდაცვა და სოციალური სფერო დაასახელა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ, მიუხედავად მუნიციპალიტეტის მწირი ბიუჯეტისა, ამ კუთხით მნიშვნელოვანი პროგრამები ფინანსდება. ეფექტურად იყო მიჩნეული გენდერული საბჭოს მიერ განხორციელებული პროექტები, განსაკუთრებით კი პროექტი „კიბო განაჩენი არ არის“.

 თვისებრივი მონაცემების შეგროვებისას დასახელდა ჯგუფები, ვინც რესპონდენტთა აზრით, საჭიროებენ უფრო მეტ მხარდაჭერას.

„პენსიონრებს მეტი დაფასება სჭირდებათ, მართალია, სახელმწიფო შეძლებისდაგვარად ზრუნავს ჩვენზე, მაგრამ კარგი იქნება, ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც თუ რაიმეს გამოყოფენ“.
„მეტნაკლებად მოგვარდა უსახლკაროების პრობლემა, მაგრამ დარჩნენ ისეთებიც, ვინც კვლავ უსახლკაროა, საჭიროა მათთვის ფართის გამოყოფა“.
„კარგი იქნება მრავალშვილიანის სტატუსი მიენიჭოს სამი და მეტი შვილის მშობელს“.
„შიდა გზების მოწესრიგება მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს“.

რესპონდენტთა ნაწილმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები დაასახელა. მათ პრობლემებს შეეხნენ ექსპერტებიც. *„მთავარი პრობლემა, რაც მუნიციპალიტეტების გამგეობასთან არსებობს, ეს არის პარკინგის პრობლემა, რომელიც მხოლოდ მინიშნებების ზოლებით შემოიფარგლება. რეალურად კი ავტომობილის პარკინგი შეუძლებელია“.* მათი ინფორმაციით, გარდა პარკინგისა, მუნიციპალიტეტის გამგეობებთან და სხვადასხვა ობიექტთან შშმ პირებს სხვა მრავალი ფაქტორიც უქმნის პრობლემებს: არასტანდარტული პანდუსები და ლიფტის სკამის არარსებობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის აქ ყველაზე მტკივნეული საკითხებია. პრობლემა იმაშიც მდგომარეობს, რომ როცა დგება პროექტი, მისი განხორციელების დროს მშენებლები არ იცავენ სტანდარტს და ხდება თვითნებურად გადაკეთება. ამას კი არავინ არ ამოწმებს.
„არის პრობლემა უსინათლო და მცირემხედველი ადამიანებისთვის: სხვადასხვა სუპერმარკეტში არის ძალიან პრიალა იატაკი, რაც ხელს უშლის მათ გადაადგილებაში. ეტლით მოსარგებლეთათვისაც არის ეს პრობლემა, და საერთოდ კატასტროფაა ყავარჯნით ვინც გადაადგილდება - მათთვის.
ამას ითვალისწინებენ, როდესაც ჩვენს მიერ მიცემული რეკომენდაციები აქვთ, მაგრამ არ იციან და არ ითვალისწინებენ, როდესაც საერთოდ არ გვეკითხებიან, არ არის არანაირი სერვისი სმენისა და მეტყველების პრობლემების მქონე ადამიანებისათვის. არასრულფასოვნების განცდა გიპყრობს, როდესაც შედიხარ საკვებ დაწესებულებაში, საპირფარეშოს კითხულობ და დაგხვდება ვიწრო კიბე ან კარები. მერე იძახიან, რატომ არ ჩანან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში - როდესაც ასეთი პრობლემების წინაშე დგანან ადამიანები, იქით გახედვაც აღარ უნდათ.“
გამოიკვეთა პედაგოგების საჭიროებები: პედაგოგთათვის აუცილებელია კომუნალური გადასახადების და მგზავრობის ღირებულებების დაფარვა სოფლის ბიუჯეტით. *„მასწავლებელი კი მუშაობს, მაგრამ 5-6 სულიანი ოჯახისთვის ერთი დასაქმებული წევრი ვერაფერს აკეთებს, საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარება, რომ ჩვენი ოჯახის წევრებიც დასაქმდნენ“.*

„სოფლის განვითარების პროგრამის ხარჯებში კარგი იქნება ამბულატორიის ხარჯების გათვალისწინება. ორი წელია ითვალისწინებენ, უნდა გაგრძელდეს, კარგი იქნება ახალი აპარატურის შეძენა მედ-პუნქტებისთვის“.
„კარგი იქნება თუკი მოხერხდება საბავშვო ბაღების და სკოლების სასმელი წყლის გასინჯვა, სველი წერტილების მოწესრიგება; საბავშვო ბაღებისა და სკოლების წინ უსაფრთხოების მიზნით სპეციალური საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის შემაფერხებელი ბარიერების მოწყობა, მოხუცებისთვის და ახალგაზრდებისთვის სკვერების მოწყობა...

რესპონდენტებმა გამოყვეს ადგილობრივი პროგრამები, რომლებიც შედარებით უფროა მორგებული მათ საჭიროებებს. რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი მადლიერებას გამოხატავს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, რადგან ბიუჯეტში პროგრამულად აისახება პაციენტებისათვის ის დამატებითი თანხები, რომლებიც არ ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის მიერ. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი გვევლინება თანადამფინანსებლის როლში. რესპონდენტთა დიდი ნაწილი მადლიერია ბიუჯეტიდან ერთჯერადად გამოყოფილი 150 ლარისთვის, რომელიც გამოიყოფა მედიკამენტების შესაძენად.
„უნდა აღინიშნოს ონკო-პაციენტებისათვის გამოყოფილი თანხები, საგარანტიო წერილები, რომლის მეშვეობითაც პაციენტებს მუნიციპალიტეტი უფინანსებს ოპერაციის ხარჯებს. გარდა იმისა, რომ საყოველთაო ჯანდაცვა მოქმედებს, ავადმყოფს ესაჭიროება გარკვეული თანხა ტრანსპორტირებისათვის, რასაც ადგილობრივი სახსრებით მუნიციპალიტეტი ახერხებს“.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, თუ რომელი სფეროს დაფინანსებას მიიჩნევენ საჭიროდ რესპონდენტები და რა კუთხით, რა სახის პროგრამებს თვლიან მიზანშეწონილად მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებისათვის (მაგალითად, უმუშევრობის შემცირება, ეკონომიკის განვითარება) გრძელვადიან პერსპექტივაში.
რესპონდენტთა უმრავლესობა პრიორიტეტად ახალგაზრდობას და მის განვითარებას მიიჩნევს. ისინი თვლიან, რომ უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რათა ახალგაზრდობა დაუბრუნდეს სოფელს, ერთ-ერთ პრიორიტეტად კი პროფესიულ სასწავლებლის შექმნასაც ასახელებენ, ხოლო შემდგომში კურსდამთავრებულთა დასაქმებას მოითხოვენ.
„მთავარი ამოცანაა სამუშაო ადგილების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დაბრუნებას თავიანთ სოფლებში“.

რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელია ახალი საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების გახსნა და მოქალაქეთა დასაქმება. მათი აზრით, მნიშვნელოვანია სოფლის პროგრამა, რათა *„სოფელს ჰქონდეს გაზი და კეთილმოწყობილი ქუჩები“.*

გამოკითხულთა დიდი ნაწილი ბიზნესის ხელშეწყობაზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი მთავარი დამსაქმებელი ქვეყანაში კერძო ბიზნესი უნდა იყოს და დასძენს, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამაზე.

„კარგი იქნება, დასაქმების პროგრამა თუ ამუშავდება, თუ მიწის ნაკვეთს მოგვცემს ადგილობრივი მთავრობა. თხილს გავაშენებდით და ცოტათი მოვაგვარებდით პრობლემებს“.

„შემოქმედი დიდი სოფელია და კარგი იქნებოდა, თუ ერთი საწარმო ან ქარხანა იქნება“.

„სოციალურად დაუცველების და მარტოხელა დედებისთვის ეფექტური პროგრამის ამუშავება კარგი იქნებოდა. სოფლის განვითარებისთვის უნდა გაკეთდეს ყველაფერი. კარგი იქნება სოფლის პროგრამით თუ დაეხმარება მთავრობა ადგილობრივ მცხოვრებლებს გავერანებული ფართობების გაწმენდაში“.

რესპონდენტები მიჩნევენ, რომ საჭიროა ცენტრების გახსნა, სადაც ხალხს შეეძლება, მივიდეს და სოფლის პროდუქტები ჩააბაროს. მათი აზრით, აუცილებელია ფერმერთა მოტივაციის გაზრდა და ამ მიმართულების მეტად პოპულარიზაცია.

რესპონდენტების აზრით, ადგილობრივმა ბიუჯეტმა პრიორიტეტად უნდა განსაზღვროს სოფლის მეურნეობა. პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს მონიტორინგი, თუ რა მდგომარეობა გვაქვს, დადგინდეს ფიტოსანიტარული მდგომარეობა, რომელი დაავადებების, მავნებლების გავრცელებაა საშიში. *„მოხდეს ნიადაგის შესწავლა. ამ მხრივ არსებობს ძალიან ძველი მასალები, მას შემდეგ, დროთა განმავლობაში ზოგი ნიადაგი გამოიფიტა, შეიცვალა, მათი შესწავლაა აუცილებელი. უნდა დადგინდეს, როგორი ნიადაგია და რომელი ჯიშის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოყვანაა მიზანშეწონილი. არა მარტო იმის განსაზღვრით, თუ რომელი უფრო მოსავლიანი იქნება, არამედ იმითაც, თუ რომელ პროდუქტზეა მოთხოვნა. ეს ყველაფერი თითოეული ფერმერის დონეზე უნდა შესრულდეს. არა მარტო კოოპერაციიას, არამედ თითოეულ ფერმერს უნდა დავეხმაროთ“.* მათი აზრით, საჭიროა საგანმამანთლებლო/საკონსულტაციო პროგრამები ფერმერებისთვის. უნდა გაკეთდეს საკონსერვო ქარხნები, მაცივრები. სასურველია შეიქმნას დარბაზი, სადაც პერიოდულად ფერმერებს დაგროვილი პრობლემების გადაჭრის გზების საძიებლად მოწვეული ექსპერტები ჩაუტარებენ ტრენინგებს. ახალი ჯიშების მოსაყვანად აუცილებელია საცდელი მეურნეობები. სოფლის მეურნეობის გაძლიერება წარმოუდგენელია სპეციალისტების გაზრდის გარეშე. უნდა დადგინდეს, რისი

დეფიციტი გვაქვს და ამის შემდეგ უნდა მოხდეს სპეციალისტების მიერ რეკომენდაციების გაცემა.

ამ ეტაპზე უკვე დადგა ჩაის სპეციალისტების ნაკლებობის პრობლემა. *„ეს მაშინ, როცა გვაქვს ანასეულის ინსტიტუტი, სადაც შემორჩენილია უდიდესი სპეციალისტები, მათი გამოყენება უნდა მოხდეს და ასევე უნდა იქნას გამოყენებული ოზურგეთის ტექნიკუმის ბაზა“.*

„ფერმერი მიწის რაოდენობით არ განისაზღვრება, ეს პიროვნების მენტალური დამოკიდებულებაა სოფლის მეურნეობასთან. არიან ფერმერები, რომელთაც არ აქვთ დიდი ფართობი, მაგრამ აქვთ ხედვა. მაგალითად, გამოყავთ ჩითილები“.

ექსპერტების აზრით, გურიის რეგიონი ეკონომიკურად ძლიერი არ არის. სამწუხაროდ, უამრავი შრომისუნარიანი ქალი ექიმთან არ მიდის იმის გამო, რომ ეშინია. იცის, რომ მკურნალობის თანხა არ აქვს. *„ჩვენთან მაღალია ონკოლოგიური დაავადებები და საჭიროა გამოკვლევები ტარდებოდეს რეგიონში არსებულ რომელიმე ცენტრში. უნდა შეიქმნას რეალური სამუშაო ადგილები, რომ ადამიანებმა ღირსეულად შეძლონ მკურნალობა“.*

ექსპერტები თვლიან, რომ რეგიონში საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მოსახლეობის მხოლოდ 10%-ს შეუძლია. *„ეს ძალიან ცოტაა. ასევე ცუდი მდგომარეობაა ინკლუზიურ გარემოსთან დაკავშირებით. პრაქტიკულად, ამ კუთხით ნულის დონეზე ვართ“.*

რესპონდენტების აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას გრძელვადიან პერსპექტივაში მაშინ შეძლებს, თუ იგი რეალურ სამუშაო ადგილებს შექმნის და არ მოახდენს საბიუჯეტო ორგანიზაციების გაბერვას. *„გვაქვს გაურკვეველი სახის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შექმნილი აიპ-ები, სადაც ძალიან ბევრი „მარკშეიდერი“ გვყავს, რომლებიც არ გვჭირდება. ამ თანხით ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლება“.*

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალების გაძლიერების, მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნის იდეას. *„კარგია, თუ მუნიციპალიტეტი შეძლებს ქალებისთვის საინვესტიციო პროექტების მომზადებას, ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებაში. დაუფინანსებს ტრენინგებს შესაბამისი უნარების გასავითარებლად, წაახალისებს აქტიურ ქალებს.“*

რესპონდენტის აზრით, ქალთა უმუშევრობის შემცირება შესაძლებელია, თუ შეიქმნება ამა თუ იმ სოფელში საკონსულტაციო საბჭოები, სამკერვალო საწარმო. ოზურგეთის მაგალითზე ამუშავდება ასკანიტის თიხის საწარმო, სანერგე მეურნეობა. ისინი თვლიან, რომ თუ შეიქმნება სამუშაო ადგილები, საზღვარგარეთ წასული

ქალბატონებიც დაბრუნდებიან. ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნას ასეთი სამუშაო ადგილების შექმნის მხარდასაჭერი პროგრამები.

რესპონდენტების აზრით, სოციალურად დაუცველებს უნდა შეეძლოთ უფასოდ განათლების მიღება კოლეჯის დონეზე. *„მაგ. ჩაის კულტურასთან დაკავშირებით, თავიდან ბოლომდე მივიღოთ სპეციალისტი. შემდეგ პერიოდულად უნდა ხდებოდეს მათი გადამზადება, რათა ისინი მზად იყვნენ ახალი მავნებლების, დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად. სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობაში აღარ არსებობს სიგნალიზაციისა და კარანტინის სამსახური, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს და თავიდან აიცილებს პრობლემებს სოფლის მეურნეობაში“.*

რესპონდენტებმა ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა გენდერული კუთხით მუნიციპალიტეტის დონეზე დადებითად შეაფასეს: *„თუ შევადარებთ ჩვენი ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტებს, ოზურგეთში ეს პროცესები გაცილებით კარგად მიმდინარეობს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა და უმაღლეს დონეზეა. ეს შედარებითია სხვა რეგიონებთან“.*

რესპონდენტები თვლიან, რომ ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით უნდა შეიქმნას ფსიქოსარეაბილიტაციო ცენტრი.

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ გენდერული ბალანსი არ უნდა დაირღვეს: *„ზოგს რატომღაც ჰგონია, რომ გენდერი მარტო ქალის უფლებების დაცვას ნიშნავს. ეს ასე არ არის, ეს თანასწორობაა ქალების, კაცების, ბავშვების, მოხუცების და ა.შ.“. ამ კუთხით ბიუჯეტში აუცილებლად უნდა იდოს თანხები, რა მიმართულებითაც იქნება დარღვევა, იმ მიმართულებით უნდა მოხდეს დაფინანსების გაზრდა“.*

ექსპერტები ისურვებდნენ, თვითმმართველობას ჰქონდეს მეტი ავტონომიურობა დაგეგმვისას: *„სოციალური პროგრამებისთვის ხარჯების განსაზღვრა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. ადგილობრივ ხელისუფლებას ძალზე შეზღუდული უფლებამოსილებები გააჩნია ამ კუთხით, არც ბიუჯეტი აძლევს ფრთების გაშლის საშუალებას. თუმცა მაინც ხერხდება ცალკეული პროგრამების დაფინანსება, რაც მისასალმებელია. რაც შეეხება მიღებული შედეგების გათვალისწინებას, ამ კუთხით საჭიროა კვლევების ჩატარება, რათა შედეგების არსებობაც და არარსებობაც იყოს ხილული.“*

იყო მოსაზრებები, რომ ტურიზმის განვითარების მიმართულებით რეგიონს უნიკალური რესურსი გააჩნია. გაჟღერდა მოსაზრება, რომ მოხდეს არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსის გამოყენება საზოგადოებასთან კომუნიკაციის კუთხით: *„თითოეული სეგმენტისთვის მუშაობს სხვადასხვა პროგრამა, თუმცა მათ ხშირი შემთხვევაში არ იციან ამ პროგრამების შესახებ. ამიტომ საჭიროა გავრცელდეს ინფორმაცია, რათა დაინტერესებულმა პირებმა ადვილად მოახერხონ მათთვის*

საჭირო პროგრამის მორგება. კარგი იქნება ამ კუთხით ადგილობრივ თვითმმართველობებს არასამთავრობო ორგანიზაციებიც თუ დაეხმარებიან.“
ექსპერტები თვლიან, რომ *,,ბიუჯეტი გენდერულია, როცა მის შემუშავებაში თანაბრად მონაწილეობს მუნიციპალიტეტში არსებული ყველა სოციალური ჯგუფი და მიღებული ბიუჯეტი შესაბამისად ასახავს ყველა ჯგუფის საჭიროებებს“.*

რესპონდენტების აზრით, თანდათან ხდება ადგილებზე გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის პრაქტიკის დამკვიდრება. *,,ვფიქრობ, ამ კუთხით მუშაობა წინა წლებთან შედარებით ცოტათი გამოსწორდა. თუნდაც ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობა, თუმცა საჭიროა მეტი გააქტიურება“.*

რესპონდენტების შეფასებით, კიდევ მეტი მუშაობაა საჭირო, რათა ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკისა და ძალადობის მსხვერპლის დახმარების კუთხით ეფექტური გახდეს: *„ძალადობას გრძელვადიანი შედეგები აქვს, რაც ნიშნავს, რომ ძალადობის ან ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს ესაჭიროებათ არა მხოლოდ მყისიერი დახმარება, როდესაც ძალადობის ფაქტები ხდება, არამედ მრავალ მათგანს სჭირდება გრძელვადიანი დახმარება, რადგან ან ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ, ან სოციალურ-ეკონომიკური, არ შეუძლიათ დამოუკიდებლად არჩინონ საკუთარი ოჯახი და ბავშვები“.*
,,მეტი მუშაობაა საჭირო, უნდა გაიზარდოს სოციალურ მუშაკთა და სოფლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართულობა არსებული პრობლემური კერების გამოსავლენად. საჭიროა საზოგადოების განათლება, გადამზადება, რათა ერთიანად ვებრძოლოთ ამ პრობლემას“.

რეკომენდაციები

- ✓ სოფლის დახმარების პროგრამით მოხდეს დახმარება გავერანებული ფართობების გაწმენდაში.
- ✓ სოციალური პროგრამების დაგეგმვისას უზრუნველყოფილ იქნას მეტი ავტონომიურობა და სამოქალაქო ჯგუფების ინიციატივების ასახვა.
- ✓ დევნილთა ჯგუფების ინტეგრაციის, მათი თვითმმართველობაში ჩართვის ხელშეწყობა. თანამშრომლობა დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან.
- ✓ მიზანშეწონილია პედაგოგებისათვის კომუნალური გადასახადების და მგზავრობის ღირებულების დაფარვა ბიუჯეტიდან.
- ✓ მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენა.
- ✓ კვლევების შედეგების ანალიზი, ანგარიშის წარდგენა საზოგადოებისთვის.
- ✓ მიგრაციის შეჩერების ღონისძიებები: ახალგაზრდული პროგრამების დანერგვა, სოფლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.
- ✓ მცირე ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობა.
- ✓ ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ბაგა-ბაღებში, სკოლებში პერიოდული შემოწმებები ბავშვთა ჯანმრთელობის გამოკვლევის კუთხით.
- ✓ სკოლებში და ბაღებში სასმელი წყლის ვარგისიანობის პერიოდული მონიტორინგი, სველი წერტილების მოწესრიგება.
- ✓ ადგილობრივ ბაზაზე ფსიქოსარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა.
- ✓ ქალთა უმუშევრობის შემცირებისათვის - სოფლებში საკონსულტაციო საბჭოების შექმნა. ასკანიტის თიხის საწარმოს ამუშავება, სანერგე მეურნეობების შექმნის ხელშეწყობა.
- ✓ ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება. არსებული რესურსების გამოყენება.
- ✓ ნიადაგის ფიტოსანიტარული მდგომარეობის შესწავლა.
- ✓ მოქალაქეებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა, ამ კუთხით არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან თანამშრომლობა.